ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების **შესახებ N88**

ქ. ვანი

27.05. 2020 წელი

ერთი მხრივ, ვანის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი ვანის მუნიციპალიტეტის მერის, ალექსანდრე გოგორიშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ქ. ვანი თავისუფლების ქ. N65
საიდენტიფიკაციო კოდი: 229653256
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
და მეორე მხრივ, სს „ტრანსმშენი" , წარმოდგენილი დირექტორის უჩა გელაშვილის სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: თბილისი ნ. რამიშვილის ქუჩა N5
საიდენტიფიკაციო კოდი: 212274812
ტელეფონის ნომერი: 595 389 951
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE85BG0000000223173000
შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები",(საფუძვლები დამოკიდებულია ტენდერის სახეზე) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 16[1] მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT200007194) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ-„ხელშეკრულება")-შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტაციით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3„შემსყიდველი ორგანიზაცია" შემდგომ შემსყიდველი" ნიშნავს, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4„მიმწოდებელი' ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5„დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6„სამუშაო" -ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2 ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მასალების შესყიდვა დანართის შესაბამისად. **CPV31300000**

2.2 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 17776.70 (ჩვიდმეტიათას შვიდას სამოცდათექვსმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით

3.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ეროვნულ ვალუტაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

4.1 საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში 2020 წლის 25 ივნისის ჩათვლით დანართი N2-ს შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მიღება- ჩაბარების დროს წარმოდგენილი უნდა იყოს საქონლის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი

5.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში.

6. ანგარიშსწორება და ვალუტა

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წერილობითი მომართვის, მიღება-ჩაბარების აქტისა, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღეში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან წერილობითი შეთანხმების გარეშე.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. სუბკონტრაქტორები

8.1 „მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

8.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში(მაქსიმუმ 3(სამი) სამუშაო დღეში) წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

10. მხარეთა უფლება მოვალეობები

10.1 შემსყიდველი უფლებემოსილია: საქონლის მიწოდებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია

10.2 შემსყიდველი ვალდებულია: უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.3 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია: მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით

11.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

11.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ;

12.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს - 2020 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

„შემსყიდველი"

ვანის მუნიციპალიტეტის მერი

ალექსანდრე გოგორიშვილი

Self Governing Unit Vani Municipality

Digitally signed by Self Governing Unit Vani Municipality
Date: 2020.05.27 14:49:25 +04'00'

„მიმწოდებელი"

„ტრანსმშენი"-ს ხელმძღვანელი

უჩა გელაშვილი

JSC Transmsheni

Digitally signed by JSC Transmsheni
Date: 2020.05.27 14:58:53 +04'00'

N	CPV	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ. ფასი	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი	
1	31300000	დიოდური სანათის შლანგი	მეტრი	60	6.1900	371.40	იაპონია	TechTouch	438,25
2	31300000	ელ. გამტარი ალუმინის ორმაგი იზოლაციით 2/10 ზე	მეტრი	18590	0.7190	13366.21	საქართველო	საქ კაბელი	15772,13
3	31300000	ელ. გამტარი ალუმინის ორმაგი იზოლაციით 2/16 ზე	მეტრი	1000	1.0600	1060.00	საქართველო	საქ კაბელი	1250,80
4	31300000	ელ. გამტარი ალუმინის 2/4 ზე	მეტრი	500	0.3700	185.00	საქართველო	საქ კაბელი	218,30
5	31300000	ელექტრო როზეტი	ცალი	15	5.4929	82.39	საქართველო	საქ კაბელი	97,19
		ჯამი				15065.00			17776,70

JSC Transmsheni

Digitally signed by JSC Transmsheni
Date: 2020.05.21 18:05:29 +04'00'

N	დასახელება	ადმინისტრაციული ერთეული					დანართი N2		
		გზვანი	ოხუეთი	სალომინაო	მთისძირი	მეუქედი	სალხინო	ციხესულორ ი	ძველუხი
1	დიოდური სანათის შლანგი						60		
2	ელ. გამტარი ალუმინის ორმაგი იზოლაციით **2/10** ზე	900		5970	250	1500	4200	5770	
3	ელ. გამტარი ალუმინის ორმაგი იზოლაციით **2/16** ზე								1000
4	ელ. გამტარი ალუმინის **2/4** ზე	40			20		230	180	30
5	ელექტრო როზეტი		15						

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.ვანი

25.05. 2020 წ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მასალების შესყიდვის მიზნით გაფორმებული N88 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლზე და მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში დავით გოგორიშვილი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში N88 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შემსრულებელ შპს ,,ტრანსმშენი"-ს მიმართ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე

მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში

დავით გოგორიშვილი ----------